ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 37241152**
თარიღი:**24/04/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“-პროექტებზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიამ განიხილა: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“- პროექტები (შემდგომში პროექტი -1 და პროექტი-2) და დაადგინა:

1. „პროექტი-1“ ითვალისწინებს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ. 26.18.19.879) 155 კვ/მ მიწის ნაკვეთის პრივატიზებას აუქციონის წესით.
2. „პროექტი-1“ წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.
3. „პროექტი-2“ ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცებას (ს/კ. 26.18.19.879, 155 კვ/მ, სოფ. გომი).
4. „პროექტი-2“ წარმოდგენილია „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებების გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - განკარგულების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე მასზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი